

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №219

2008 წლის 12 ნოემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის განხორციელებისათვის თანხმობის გაცემის წესის შესახებ

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-10 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე:

1. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული აკრძალული საქმიანობის განხორციელებისათვის თანხმობა გაცივმა საქართველოს მთავრობის განკარგულებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ემსახურება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, დეოკუპაციის ან ჰუმანიტარულ მიზნებს.

2. საქართველოს მთავრობის მიერ თანხმობის გაცემის მიზნით დასაბუთებულ შუამდგომლობას წარუდგენს განსახორციელებელი საქმიანობიდან გამომდინარე შესაბამისი სამინისტრო.

3. შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებისათვის თანხმობის გაცემის ან თანხმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

3¹. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსახორციელებელ ყოველ საქმიანობას შეისწავლის რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, განსახორციელებელი საქმიანობიდან გამომდინარე, შესაბამის დარგობრივ სამინისტროსთან ერთად.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №180 - სსმ III, №80, 06.07.2010წ., მუხ.1174

3². რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და 3¹ პუნქტში აღნიშნული შესაბამისი დარგობრივი სამინისტროს მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე განსახორციელებელი საქმიანობის მოწონება, რაც ფორმდება რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით, წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აღნიშნული პროექტის განხორციელების საფუძველს და დამატებით არ მოითხოვს საქართველოს მთავრობის თანხმობას.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №180 - სსმ III, №80, 06.07.2010წ., მუხ.1174

3³. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ოკუპირებულ ტერიტორიებზე განსახორციელებელი საქმიანობების შესახებ ინფორმაციას წარმოუდგენს საქართველოს მთავრობას.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №180 - სსმ III, №80, 06.07.2010წ., მუხ.1174

4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი გ. მგალობლიშვილი

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №180 - სსმ III, №80, 06.07.2010წ., მუხ.1174